მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

22 დეკემბერი, 2020
04/02-285

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
ასლი:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის **17 ოქტომბერს** მოგმართეთ საჩივრით (№04/02-273 წერილით) და გთხოვეთ რეაგირება თბილისში, ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, 36 ჰექტარის ფართობზე, ცენტრალური პარკი მოწყობის პროექტის სკრინინგის პროცედურის გავლის გარეშე განხორციელების თაობაზე.

ა.წ **5 ნოემბერს** სამინისტროდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია სამინისტროს მიერ **კანონდარღვევის აღკვეთისათვის გატარებული ღონისძიებების** შესახებ.

ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხად მივიღეთ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის წერით, რომლითაც გვეცნობა, რომ ჩვენს მოთხოვნამდე ერთი დღით ადრე - **4 ნოემბერს**, სამინისტრომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვა ინფორმაცია ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ; და რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდგომ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ რაიმე სხვა განმარტება ჩვენ დღემდე არ მიგვიღია, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიურად განაგრძობს სამუშაოებს ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე.

იმედია დაგვეთანხმებით, რომ პოტენციური კანონდამრღვევისაგან (თუნდაც საჯარო უწყებისაგან) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა არ შეიძლება განვიხილოთ კანონდარღვევის გამოვლენისა თუ აღკვეთისათვის სათანადო ღონისძიებად.

გთხოვთ, მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები კანონდარღვევის აღკვეთისათვის სამინისტროზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი